ქართული კრედიტი
GEORGIAN CREDIT

2022 წლის 19 მაისს, 11:00 საათზე, საქართველოს დროით მის: თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N7, მოწვეულია სს მისო „ქართული კრედიტის" (ს/კ.:206238800, მის: თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N7 0186) აქციონერთა რიგგარეშე N 01/22 საერთო კრება. საერთო კრება ჩატარდება შერეულ ფორმატში და აქციონერთა ნაწილი დაესწრება ელექტრონულად, დისტანციურ რეჟიმში. დისტანციურ რეჟიმში დასასწრებად, გთხოვთ, გამოიყენოთ შემდგი Zoom ლინკი:

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/81346648031?pwd=Q3lwK2tpRW4rUWhQVUlZRkR3bG4zZz09

MeetingID: 813 4664 8031

Passcode: 228045

კრების დღის წესრიგს წარმოადგენს შემდეგი:

1. 2021 წლის 16 მარტის რიგგარეშე საერთო კრებით მიღებული გადაწყვეტილების, კერძოდ კი გიორგი ნასყიდაშვილისთვის (პ/ნ.: 01017005075) მე-4 საკითხის მიხედვით მინიჭებული უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივება.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების სააღრიცხვო თარიღია 2022 წლის 10 მაისი. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება აქვთ სააღრიცხვო დღისათვის.

საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაში მონაწილე პირთა რეგისტრაციის დაწყების დრო 2022 წლის 19 მაისი 10:00 საათი. საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მონაწილე პირთა რეგისტრაცია ხორციელდება აქციონერთა საერთო კრების ჩატარების ადგილის მისამართზე. ხოლო, იმ აქციონერთათვის, ვინც დისტანციურ რეჟიმში გამოცხადდება კრებაზე, სავალდებულოა, რეგისტრაცია გაიარონ 2022 წლის 19 მაისს, 10:00 საათიდან ელექტრონულად.

კრებაზე დასასწრებად დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და კრებაზე წარმოდგენილ აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე.

აქციონერის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ ინფორმაციის და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის/რწმუნებულების წარმოდგენა შესაძლებელია ასევე საზოგადოების ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@geocredit.ge საერთო კრების გახსნამდე და საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერების (მათი წარმომადგენლების) რეგისტრაციამდე.

აქციონერთა საერთო კრების მასალების გაცნობა შესაძლებელია საზოგადოების ვებგვერდზე:

თქვენი უფლებამოსილების, საერთო კრების მოწვევის აქციათა საერთო რაოდენობის, თქვენი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან _ ს.ს. „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი" (ლიცენზიის #70006), მისამართი: საქართველო, 0162, თბილისი, მოსიაშვილის ქ.N 11, ტელ: (+995 32) 222-53-51.

თქვენ უფლებამოსილი ხართ ასევე, საზოგადოებას მოსთხოვოთ საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის, თქვენი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის დადასტურების გაცემა.

კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერი/აქციონერთა ჯგუფი უფლებამოსილია, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დრით ადრე წერილობით მიმართოს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და გენერალურ დირექტორს და :

ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;

ბ) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი.

დირექტორთა საბჭოს რეკომენდაციაა რიგგარეშე კრებაზე მიღებულ იქნას გადაწყვეტილება 2021 წლის 16 მარტის რიგგარეშე საერთო კრების მე-4 საკითხის მიხედვით მინიჭებული უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივება 1 (ერთი) წლის ვადით.

გიორგი ალფაიძე